NEW BOOKS ახალი წიგნები

კავკასიის ისტორია, ტ. 1, ტ.2. მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი, თბილისი, გამომცემლობა არტანუჯი, 2023

„კავკასიის ისტორია“ მოიცავს ორ ტომს და ამგვარი სრული გამოცემა პირველად ქვეყნდება. ნაშრომში წარმოჩენილია ის დიდი გზა, რომელიც კავკასიის ქვეყნებმა და ხალხებმა გაიარეს – ადრინდელი, პროტოფეოდალური, ფეოდალური შუღლისა და დაქუცმაცების ხანა, უცხოელთა ბატონობა, ცარიზმის კოლონიური ჩაგვრისა და საბჭოთა იმპერიის სირთულეები. კავკასიის ქვეყნების ტრადიციები, პოლიტიკური ვითარება და დიპლომატიური ურთიერთობები; ეროვნული, რელიგიური, სოციალური თუ კულტურული სიჭრელე და სწრაფვა შიდა კავკასიური მშვიდობის მოგვარებისათვის. გამოკვლევაში არის მცდელობა დასაბუთებისა, რომ კავკასიის ხალხის მშვიდობიანი თანაარსებობის, ინტეგრაციის საფუძველია კავკასიური ცივილიზაცია, რომელიც ეყრდნობა ერთიან ისტორიულ წარსულში ჩამოყალიბებულ საერთო ღირებულებებს.

ავტორთა ჯგუფის [როინ მეტრეველი (ხელმძღვანელი), ვალერი ვაშაკიძე, ვახტანგ გურული, ალექსანდრე დაუშვილი, ლელა მიქიაშვილი, ჯონი კვიციანი, გიორგი ჭეიშვილი, ოთარ ჯანელიძე] მიერ შექმნილ ორტომეულში კავკასიის ისტორია გადმოცემულია ქართული და უცხოენოვანი წყაროების, არქეოლოგიური და ეთნოლოგიური, ნუმიზმატიკური და ფოლკლორული მასალის შესწავლის საფუძველზე; გათვალისწინებულია სხვადასხვაეროვანი ავტორების ნაშრომები – ფართო ისტორიოგრაფიული მასალა. წიგნი მკითხველთა ფართო წრისთვის (სპეციალისტები, სტუდენტები, ისტორიის მოყვარულები) არის განკუთვნილი.

სამეცნიერო ჟურნალი „ლოგოსი“, № 10, თბილისი, 2023

ჟურნალის აღნიშნული ნომერი მთლიანდ ეთმობა საერთაშორისო სიმპოზიუმის - „მარადიული ღირებულებები და მარად ცვალებადი შსამყარო“ - მასალების პუბლიკაციას. სიმპოზიუმი მიეძღვნა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს -პატრიარქის ილია II-ის აღსაყდრებიდან 45 და დაბადებიდან 90 წლისთავს.

როინ მეტრეველი, წარსული ხელოვნების ენით, თბილისი, გამომცემლობა არტანუჯი, 2023 (ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე)

წინამდებარე წიგნში გამოკვეთილია გამოჩენილი ქართველი მხატვრის, მოქანდაკის, საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს ზურაბ წერეთლის შემოქმედების ზოგიერთი საკითხი. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ხელოვანის ისტორიული თვალთახედვის წარმოჩენას, კერძოდ იმ ნაშრომებს, რომლებიც წარსულისადმია მიძღვნილი. ხაზგასმულია მისი დიდი და მსახურება ქანდაკებისა თუ ფერწერული ხელოვნების განვითარებაში. წიგნი ეძღვნება გამოჩენილი ხელოვანის საიუბილეო თარიღს.

ნიკოლ და ჟან-მიშელ ტიერები კავკასია და ანატოლია, შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნება, გამომცემლობა არტანუჯი, 2022

ქართული კულტურის უცხოელ მკვლევართა შორის ერთ-ერთი ღირსეული ადგილი ფრანგ მეცნიერებს - სორბონის უნივერსიტეტის პროფესორებს - ნიკოლ და ჟან-მიშელ ტიერებს უჭირავთ. მათ დიდი წვლილი შეიტანეს შუა საუკენეების ქართული ხელოვნების კვლევისა და პოპულარიზაციის საქმეში. ჩვენთვის განსაკუთრებით ფასეულია მათი ღვაწლი ტაო-კლარჯეთის ქართული ძეგლების მოძიება-ფიქსაციასა და მეცნიერულ შესწავლაში.

დავით მუსხელიშვილი, შრომები, ტ I, თბილისი, გამომცემლობა არტანუჯი, 2023

აღნიშნული ტომეული თავს უყრის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, დავით მუსხელიშვილის ფაქტობრივად ყველა ნაშრომს – მონოგრაფიებს, სტატიებს, ნარკვევებს.

საქართველოს ისტორიის, ისტორიული გეოგრაფიისა და არქეოლოგიის გამორჩეული მკვლევრის შრომათა ერთიანი სახით გამოცემა დიდ დახმარებას გაუწევს სხვადასხვა დარგის მეცნიერებს, პედაგოგებს, სტუდენტებს, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის წარსულით დაინტერესებულ ფართო საზოგადოებას.

დავით მუსხელიშვილის „შრომების“ I ტომში განთავსებულია ფუნდამენტური ნაშრომი „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები“, რომელიც თავდაპირველად ორ ტომად გამოიცა, 1977 და 1980 წლებში.

მონოგრაფიაში მიმოხილულია, თუ როგორ მიმდინარეობდა და რა შიდა მიზეზებით იყო განპირობებული ქართულ „ქვეყანათა“ კონსოლიდაციის მრავალსაუკუნოვანი პროცესი, რისი შედეგიც ფეოდალური სახელმწიფოს – „საქართველოს“ წარმოქმნა იყო. ნაშრომის პირველ ნაწილში ეს პროცესი განხილულია უძველესი პერიოდიდან V საუკუნის ჩათვლით, რა დროსაც ვახტანგ გორგასალმა ერთ სამეფოდ გააერთიანა დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველოს ტერიტორიები. მეორე ნაწილში კი გაშუქებულია საქართველოს ფეოდალური მონარქიის წარმოქმნის ისტორია. ამ დიდი პოლიტიკური პროცესის ქრონოლოგიური პერიოდი მოიცავს VI-X საუკუნეებს.

ნაშრომი განკუთვნილია როგორც საქართველოს საისტორიო მეცნიერების შემსწავლელ მკვლევართა და სტუდენტთათვის, ასევე დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

ნათია ფიფია, ქეთევან ნადირაძე, ლერი თავაძე, გიორგი ოთხმეზური, ჯაბა სამუშია, მიხეილ ბახტაძე, აპოლონ თაბუაშვილი, ნიკოლოზ ჯავახიშვილი, სულხან კუპრაშვილი, ალექსანდრე ბოშიშვილი. ქართველ მმართველთა ისტორია, თბილისი, გამომცემლობა ნოტა-ბენე, 2023

წიგნი შესაძლებლობას გვაძლევს, უწყვეტად გავადევნოთ თვალი საქართველოს სამეფო ისტორიას ძვ.წ. IV-III საუკუნიდან, იმერეთის სამეფოს გაუქმებამდე.

წიგნი ისტორიულ პიროვნებებზეა, მათ ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. ასევე ისტორიულ ფაქტებზე, მტერთან ბრძოლაზე, ომზე, სამარ სტრატეგიებზე, მარცხზე თუ გამარჯვებაზე. ქართულ კულტურაზე, სამეფო-სამთავროებზე, მტრობაზე, ღალატზე, თავგანწირვაზე, სიყვარულსა და სიმამაცეზე.

ამ წიგნის შექმნის მთავრი იდეა, იყო არა მხოლოდ მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტების ასახვა, არამედ, იმ ისტორიული გმირების წარმოჩენასრომელთაც უდიდესი როლი ითამაშეს საქართველოს ისტორიის შექმნაში და განვითარების გეზის არჩევაში, როგორ შეცვალა თითეულმა მეფის, მმართველის მოღვაწეობამ საქართველოს აწყმო და მომავალი. რა კულტურა შექმეს, რა მემკვიდრეობას უტოვებდნენ თაობებს და როგორ გრძელდებოდა ისტორია მართველობიდან მართველობამდე.

ბატურინი ვ., სულხანიშვილი მ., მეცნიერების ფილოსოფია, თბილისი, გამომცემლობა: სამართლიანი საქართველო, 2023.

სახელმძღვანელოს ამოცანა მდგომარეობს იმაში,რომ წარმოადგინოს თეორიულიკვლევისერთობმნიშვნელოვანიდაპროდუქტიულისფერო,მეცნიერების ფილოსოფიის ფუნდამენტური საფუძვლები. მკითხველი გაეცნობა მეცნიერების თანამედროვე ფილოსოფიის ძირითად განყოფილებებს, რომლებიც მოიცავს ონტო ლოგიას,გნოსეოლოგიას,მეთოდოლოგიას, მეცნიერების ლოგიკას, აქსიოლოგიას და სხვ.

იოსებ ბანძელაძე, ქართული საზომის დადგენის ისტორია - მეტროლოგიური ანალიზი, თბილისი, გამომცემლობა აკადემიური წიგნი, 2023

წიგნი ეძღვნება ქართულ ხუროთმოძღვრებაში გამოყენებულ საზომთა სისტემას.

როგორც ავტორი, წერს, პროპორციათა ანალიზის შედეგად, „შემთხვევით აღმოაჩინა“ ქართულ სატაძრო მშენებლობაში გამოყენებული მოდულის ზომა და აღადგინა საზომი ჯოხი - ლელწამი, რომელსაც 7-ის ჯერადობის პრინციპი უდევს საფუძვლად. ლელწამის წიბოებზე ნაჭდევით აღნიშნულია არა მარტო 7, 8.75 და 13 სმ სიდიდის დანაყოფები, არამედ ასონიშნებიც.

ეს ხელსაწყო წყაროებში დასახელებულია, თუმცა უცნობი იყო მისი ეტალონური ზომები.

ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების ხანგრძლივი მეტროლოგიური ანალიზით პრაქტიკოსმა მკვლევარმა დაადგინა საზომთა სისტემა, რომელიც საკუთრივ ქართულია და რომლის მეშვეობითაც აგებულია ყველა ცნობილი ძეგლი უძველესი დროიდან გვიან შუასაუკუნეებამდე.

CUNEUM - ლურსმნული ტექსტების კორპუსი.ხეთური დაკრძალვის რიტუალი. ხეთურიდან თარგმნა - ნინო ჩარექიშვილმა, გამომცემლობა აკადემიური წიგნი, 2023

ბოღაზქოის (ხეთების დედაქალაქი ხათუსა, თან. თურქეთი) ლურსმნული ტექსტების არქივში არსებულ მრავალრიცხოვან ძეგლებს შორის არის დაკრ- ძალვის რიტუალის ამსახველი ტექსტებიც. ეს რიტუალები ძალზედ საყურად- ღებოა, რადგან მასში დაცულია მრავალი მნიშვნელოვანი პასაჟი, რომლებსაც შეიძლება სათანადო პარალელები მოეძებნოს ძველი სამყაროს სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის, ძველ ქართველურ ტომთა განსახლების ტერიტორიაზეც.

დაკრძალვის რიტუალის აღნიშნული ტექსტები, ძირითადად ეხება მაღალი

ფენის წარმომადგენელთა დაკრძალვის წესს: მეფისა და დედოფლის, მეფისწულთა და ა.შ. ესაა ძირითადად შელოცვის ფორმულები, რიტუალის ჩატარების დროს წარმოსათქმელი მაგიური სიტყვები, რომლებსაც ხეთებისთვის ღვთაებრივი, მაგიური ჰქონდა და ისინი ჩვეულებრივ მოკვდავთათვის გასაგები არ უნდა ყოფილიყო.

აკაკი გელაშვილი, რუსეთ-საქართველოს ომი 1812-1813 წლებში, თბილისი, გამომცემლობა არტანუჯი 2023

ნაშრომი ეძღვნება 1812-1813 წლებში აღმოსავლეთ საქართველოში განვითარებულ მოვლენებს, რომელიც, ისე როგორც ზოგადად, XIX საუკუნის რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლები, აჯანყების სახელით იყო ცნობილი. წიგნში განვითარებული და დასაბუთებულია აზრი, რომ ეს იყო არა აჯანყება, არამედ საშინაო და საგარეო ფაქტორებზე კარგად გათვლილი, ორგანიზებული ომი, შემადგენელი ნაწილი და გაგრძელება იმ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა, რომელსაც ქართველი ხალხი მთელი თავისი არსებობის მანძილზე ეწეოდა მრავალრიცხოვანი დამპყრობლის წინააღმდეგ.